მადონა მიქელაძე - ასოცირებული პროფესორი, პედაგოგიკურ მეცნიერებათა დეპარტამენტი, ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ნანი მამულაძე - ასოცირებული პროფესორი, პედაგოგიკურ მეცნიერებათა დეპარტამენტი, ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ნინო გოგმაჩაძე - მასწავლებელი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის პედაგოგიკურ მეცნიერებათა დეპარტამენტის მოწვეული მასწავლებელი

ინკლუზიური პროფესიული განათლება: გამოწვევები და პერსპექტივები

ინკლუზიური პროფესიული განათლება უზრუნველყოფს განათლების თანაბარ ხელმისაწვდომობას ყველასათვის, განურჩევლად შესაძლებლობებისა და შეზღუდვებისა; ამცირებს დისკრიმინაციასა და სტიგმატიზაციას სპეციალური საჭიროების მქონე პირების მიმართ; ხელს უწყობს ინკლუზიური საზოგადოების ჩამოყალიბებას, რომელშიც ყველა წევრის ღირსება დაცულია; ამაღლებს თანასწორობისა და სამართლიანობის განცდას; პასუხობს სხვადასხვა შრომით ბაზარზე არსებულ მოთხოვნებს და უზრუნველყოფს საჭირო ცოდნითა და უნარებით აღჭურვილ კადრებს. ინკლუზიური პროფესიული განათლება აძლევს შესაძლებლობას სპეციალური საჭიროების მქონე პირებს გახდნენ დასაქმებულნი და დამოუკიდებელნი.

ნაშრომის ფარგლებში ჩატარებული კვლევის მიზანია, შეისწავლოს საქართველოში ინკლუზიური პროფესიული განათლების დანერგვის გამოწვევები და პერსპექტივები კონკრეტული პროფესიული სასწავლებლის მაგალითზე. კვლევის ფარგლებში შეფასებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროცესის ინკლუზიურობის ხარისხი, რაც მოიცავს: სასწავლო გარემოს, საგანმანათლებლო პროგრამებისა და სწავლების მეთოდების ადაპტირებას, სასწავლო რესურსებისა და დამხმარე ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობას, ასევე პედაგოგების კვალიფიკაციის ამაღლებასა და მზაობას სპეციალური საჭიროებების მქონე პროფესიული სასწავლებლების სტუდენტების სწავლებისათვის.

კვლევის მეთოდოლოგია მოიცავს რაოდენობრივ და თვისებრივ კვლევას პროფესიული სასწავლებლების, მასწავლებლებისა და სტუდენტების შესასწავლად. კვლევის შედეგად გამოვლინდა ძირითადი გამოწვევები და შემუშავდა რეკომენდაციები ინკლუზიური საგანმანათლებლო პროცესის წარმატებული განხორციელებისთვის პროფესიულ სფეროში. კვლევა ხელს შეუწყობს პრაქტიკის გაუმჯობესებას ინკლუზიური პროფესიული განათლების მიმართულებით.

საკვანძო სიტყვები: ინკლუზია, პროფესიული განათლება, თანასწორობა.

Madona Mikeladze - Associate Professor, Department of Pedagogical Sciences, Faculty of Exact Science and Education, Batumi Shota Rustaveli State University
Nani Mamuladze - Associate Professor, Department of Pedagogical Sciences, Faculty of Exact Science and Education, Batumi Shota Rustaveli State University
Nino Gogmachadze - Teacher, Department of Pedagogical Sciences, Faculty of Exact Science and Education, Batumi Shota Rustaveli State University

Inclusive vocational education: challenges and perspectives

Inclusive vocational education ensures equal access to education for everyone, regardless of abilities and limitations, reduces discrimination and stigmatization of people with special needs, and contributes to forming an inclusive society where the dignity of all members is protected. It also increases the sense of equality and justice, responds to different labor market demands and provides personnel equipped with the necessary knowledge and skills. Inclusive vocational education enables people with special needs to become employed and independent.

The purpose of the research conducted within the scope of the paper is to study the challenges and perspectives of inclusive vocational education by the example of a specific vocational institution. Within the framework of the study, the degree of inclusiveness of the vocational educational process was evaluated, which includes: adaptation of the learning environment, educational programs and teaching methods, availability of learning resources and auxiliary technologies, as well as raising the qualifications of teachers and their readiness to teach vocational students with special needs.

Research methodology includes quantitative and qualitative research to study vocational institutions and students. As a result of the research, the main challenges were identified and recommendations were developed for the successful implementation of the inclusive educational process in the vocational field. The research will contribute to the improvement of practice in the direction of inclusive vocational education.

Keywords: Inclusiveness, inclusive vocational education, equality.